

ჰენდაუთი 2.2: სამუშაო ფურცელი ძალადობრივი ექსტრემიზმის ადგილობრივი მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ

დაყავით მონაწილეები სამ ან ოთხკაციან ჯგუფებად. განიხილეთ ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები თქვენს რეგიონში, დისკუსიის წარმართვის მიზნით ქვემოთ მითითებული საორიენტაციო შეკითხვების გამოყენებით.

<p>დაასახელეთ შესაბამისი განმზიდეველი ფაქტორები თქვენს გარემოში. საორიენტაციო შეკითხვა: <i>რა არის უკმაყოფილების და დამაბულობის წყაროები?</i></p>	
<p>დაასახელეთ შესაბამისი ჯგუფური დინამიკა და ურთიერთობები, რომლებიც იწვევს ძალადობრივ ექსტრემიზმს თქვენს გარემოში. საორიენტაციო შეკითხვები: <i>როგორ ხდება იდენტიფიცირებული განმზიდეველი ფაქტორების განხილვა და გადაწყვეტა? როგორ წარმოადგენენ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილები საკუთარ როლს, აგრეთვე საზოგადოების სხვა წევრების როლებსა და სახელმწიფოს როლს (მაგალითად, როგორც პრობლემების მიზეზებს ან თუნდაც მტრებს)? არის თუ არა საზოგადოების ფარგლებში არსებული ურთიერთობები ჯანსაღი ან დარღვეული? როგორ აყალიბებს სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური დარწმუნების სისტემები ამ საკითხების შესახებ ადგილობრივ აზრს ან რა გავლენას ახდენს მასზე?</i></p>	
<p>დაასახელეთ შესაბამისი მიმზიდეველი ფაქტორები თქვენს გარემოში. საორიენტაციო შეკითხვები: <i>როგორ ქმნიან ან ამახინჯებენ ადგილობრივი ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები ინფორმაციას, ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას ადგილობრივი კონფლიქტების შესახებ იმისათვის, რომ მოარგონ ისინი საკუთარ გეგმებს და ინტერესებს და მოიზიდონ პოტენციური ახალწვეულები? რომელია ის მიზეზები, რომელთა გამოც ცალკეული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი მზადაა ჩაიდინოს ძალადობა პრობლემებიდან გამომდინარე? რომელია ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების რეალური ან წარმოსახვითი უპირატესობები, რომლებიც იზიდავს პოტენციურ ახალწვეულებს? რატომ უერთდება ადამიანი ძალადობრივი ექსტრემისტების კონკრეტულ ჯგუფს და არა სხვა ჯგუფს?</i></p>	